ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5808413

ნომერი: AR1878536

თარიღი : 15.02.2022

გაცემის თარიღი : 16.02.2022

გაცნობის თარიღი : 18.02.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი,მერაბ კოსტავას ქუჩა N75;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვერიკო აბულაძე პ/ნ 60001120888
- ქუთაისი ახალგაზრდობის XI შეს. N 19

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი _
-დამატებით წარმოდგენილ იქნეს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული 04/03/2021 წლის შეთანხმება 2019 წლის 25 ოქტომბერს დადებული იჯარის ხელშეკრულების პირობების შეცვლაზე, საჭიროების შემთხვევაში მესაკუთრის თანხმობასთან ერთად.
-არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : თქვენ მიერ წარმოდგენილია 2019 წლის ფოტომასალა. საჭიროა წარმოდგენილ იქნას უახლესი სიტუაციის ფოტომასალა, შორი და ახლო ხედებით, თარიღის ფიქსაციით.
-ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : საპროექტო ფასადზე ფიქსირდება ნალექების გადამყვანი მილი, ასახეთ თუ როგორ მოხდება აბრის განთავსება აღნიშნულთან მიმართებაში. ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ არის ხილვადი სტიკერებზე განთავსებული აბრები, წარმოადგინეთ აღქმადი სახით. დამატებით გაითვალისწინეთ, რომ ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, სარეკლამო აბრებზე სასურველია მხოლოდ ძირითადი მანიშნებელი და არა გადატვირთული ხასიათის სიმბოლოების განთავსება.
წარმოადგინეთ საკადასტრო გეგმა საპროექტო ობიექტის განთვასების ადგილის მონიშვნით.
აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.